

გამოსახლების სტანდარტები და საუკეთესო გამოცდილება

სერია #3, დეკემბერი, 2019, თბილისი

მარიამ ჯანიაშვილი

შესავალი

სათანადო საცხოვრებლის უფლება და მისი ჯეროვანი განხორციელება არსებითად უკავშირდება ადამიანის სხვა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფას. საერთაშორისო დონეზე, ამ უფლების შინაარსის ყველაზე მართებული განმარტება ეკუთვნის გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტს (შემდგომში – „გაეროს კომიტეტი“). კომიტეტის განმარტების თანახმად, საცხოვრისის უფლებით სარგებლობის ეფექტიანად განსახორციელებლად, სახელმწიფომ მოქალაქეებისთვის უნდა შექმნას გარანტირებული საცხოვრისი, რაც გამოსახლებისაგან მათ დაცვასაც გულისხმობს.

სათანადო საცხოვრებლის უფლების დაცვა და მისი განხორციელება, მიუხედავად საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო აქტებისა¹, წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ არაპრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნეოდა. საცხოვრისიდან გამოსახლების საკითხები, უმეტეს შემთხვევაში საკუთრების უფლების დაცვის საბაზით, უგულებელყოფილი იყო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.¹ შედეგად, გამოსახლების ცალკეული საკითხები არასათანადოდ რეგულირდება კანონმდებლობით, რაც, თავის მხრივ, გამოსახლების ერთიანი ცნების არარსებობაში, კანონმდებლობის მიერ ბაზისური საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფაში, გამოსახლების საკითხების განხილვის დროს ყურადღების კერძო საკუთრების მხარეს გადატანაში, გამოსახლების შემდგომ პირების/შინამეურნეობების საჭიროებების გაუთვალისწინებლობაში გამოიხატება.²

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით³ განიმარტა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელმაც ქვეყნის სამართლებრივ ისტორიაში პირველად, თუმცა მხოლოდ პრინციპების დონეზე, დაადგინა სახელმწიფოს ვალდებულება,

საცხოვრისიდან გამოსახლების მწვავე პრობლემა, საქართველოში არა ერთ ოჯახს ეხება. ჯანმრთელობის დაცვის სათანადო სისტემის არ არსებობის, თუ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებით აღებულ სესხებს, ადამიანები, ხშირად ერთადერთი საცხოვრისით უზრუნველყოფენ და უსახლკარობის რისკის წინაშე დგებიან. ეს პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხიდაც იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გამოსახლების შემთხვევაშიც სახელმწიფოს მხრიდან ადამიანების კეთილდღეობაზე ბრუნვასა და მათი უსახლკარობის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.

იზრუნოს ღირსეული საცხოვრებლით მოქალაქეთა უზრუნველყოფაზე. სწორედ ეს დებულება გახდა 2018 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობის მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების წინაპირობა, რომლითაც ქვეყანამ სათანადო საცხოვრებლის უფლების გარანტირების მიმართულებით კონკრეტული ვალდებულებები პირველად იკისრა. კერძოდ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს კოორდინირებით, სპეციალურად შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ უნდა შემუშავდეს საცხოვრისის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.⁴ აღსანიშნავია, რომ სათანადო საცხოვრებლის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი ხაზს უსვამს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ეროვნული საცხოვრისის სტრატეგიის შემუშავების

აუცილებლობას⁵. სწორედ უფლებებზე დაფუძნებული სტრატეგია უნდა გახდეს უსახლკარობასთან ბრძოლის, მისი პრევენციისა და აღმოფხვრის სახელმძღვანელო საქართველოსათვისაც. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტიპის დოკუმენტები საქართველოს რეალობაში პირველად მუშავდება, სტრატეგიაში სწორი და ეფექტიანი მიმართულებების ასახვისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსახლკარობასა და საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა საუკეთესო გამოცდილების ანალიზი.

მოცემული პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს პირთა საცხოვრებელიდან გამოსახლების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საერთაშორისო სტანდარტები და ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა. დოკუმენტი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა გამოსახლების პრევენცია, გამოსახლების პროცედურების განხორციელების ძირითადი პრინციპები, ასევე, გამოსახლების საფრთხის წინაშე მყოფი/გამოსახლებული პირების უფლებათა დაცვა.

1. იძულებითი გამოსახლების ზოგადი სტანდარტები

გამოსახლების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა საუკეთესო გამოცდილების მიმოხილვისას, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესია ისეთი საკითხების ანალიზი, როგორცაა იძულებითი გამოსახლების არსი და მისი განმაპირობებელი მიზეზები, ასევე, ის ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავს გამოსახლების ლეგიტიმურობის საკითხებს.

გაეროს კომიტეტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იძულებითი გამოსახლება გულისხმობს ინდივიდების, შინამეურნეობების ან/და ჯგუფების სახლიდან ან მიწიდან მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მუდმივ ან დროებით გამოყვანას, სათანადო სამართლებრივი ან სხვა ფორმის დაცვის მექანიზმების გარანტიების გარეშე.⁶ გამოსახლების საფრთხის წინაშე მყოფი ადამიანები, უსახლკარო პირთა საერთაშორისო ტიპოლოგიით, საფრთხის შემცველი/არასაიმედო საცხოვრისის მქონეთა კატეგორიაში ხვდებიან, რითაც მათთვის ხელმისაწვდომი ხდება უსახლკარობის პრევენციული სერვისები⁷; გამოსახლებული პირები კი უსახლკაროთა კატეგორიაში ხვდებიან, რაც რეაგირებითი სერვისებით მათი უზრუნველყოფის ვალდებულებას აჩენს⁸.

გაეროს კომიტეტისა თუ სახელმწიფოების პრაქტიკის ანალიზისას იკვეთება, რომ გამოსახლების მიზეზები მრავალფეროვანია და იგი შეიძლება განპირობებული იყოს ისეთი სიტუაციებით, როგორცაა: განვითარების პროექტების (მათ შორის, განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტები, ურბანული განსახლება და ქალაქის განახლების პროგრამები, დიდი მასშტაბის ღონისძიებების

გამართვა) განხორციელება,⁹ ბინის ქირის ან იპოთეკის დავალიანების გადაუხდელობა, ბუნებრივი კატასტროფები, შინამეურნეობაში ძალადობა, საცხოვრისზე/მინაზე მფლობელობის სამართლებრივი გარანტიების არარსებობა, შეიარაღებული კონფლიქტები და ა.შ.¹⁰ მიუხედავად მიზეზების მრავალფეროვნებისა, დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დაუცველად განხორციელებული იძულებითი გამოსახლება კომიტეტის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევად კვალიფიცირდება.¹¹

იძულებითი გამოსახლების აკრძალვის სახელმწიფო ვალდებულებების მნიშვნელოვანი კომპონენტი კანონმდებლობით მფლობელობის მრავალფეროვანი ფორმების (როგორცაა: ქირავნობა, საკუთრება, კოოპერატიული საცხოვრებლები, არაფორმალური დასახლებები, გადაუდებელი საცხოვრისები და ა.შ.) გარანტირებაა.¹² მფლობელობის სამართლებრივი გარანტირების კომპონენტი და მისგან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების შინაარსი იცავს პირებს სახელმწიფოს თუ კერძო პირების მიერ მათი თვითნებური და შესაბამისი დაცვის მექანიზმების გარეშე გამოსახლებისაგან. სახელმწიფოს მხრიდან, იძულებითი გამოსახლების განხორციელება, როგორც წესი იმით საბუთდება, რომ გამოსახლებული ოჯახი/ პირი, ქონების კანონიერი მფლობელი/მესაკუთრე არ არის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სტანდარტებით, იძულებითი გამოსახლებისგან პირთა დაცვა, არ ებმის უძრავი ქონების ფლობის სამართლებრივ სტატუსს. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შინაარსი მხოლოდ საცხოვრისზე სამართლებრივი უფლების ფორმალური აღიარებით კი არ შემოიფარგლება, არამედ გულისხმობს სამართლებრივ ვალდებულებასაც, აკრძალოს დაცვის რეგულაციური მექანიზმების გარეშე გამოსახლება, მფლობელობის სტატუსის მიუხედავად.¹³

აღსანიშნავია, რომ იძულებითი გამოსახლება აუცილებლად მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებით ადამიანების საცხოვრისიდან გამოყვანას კი არ გულისხმობს, არამედ მუქარისა და შევიწროების, ელექტრობის ან წყლის მიწოდების შეწყვეტის და სხვა მსგავსი იძულებითი, არაპირდაპირი ღონისძიებების შედეგად საცხოვრისის დატოვებინებასაც.¹⁴ ამ მიმართულებით სახელმწიფო ვალდებულებების შინაარსზე მსჯელობისას, გაეროს კომიტეტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იძულებითი გამოსახლების, შევიწროებისა და სხვა ტიპის მუქარის დაუყოვნებლივ აკრძალვის აუცილებლობაზე. ასეთი განზოგადებული აკრძალვა ემსახურება იძულებითი გამოსახლების სხვადასხვა ფორმისგან ადამიანების დაცვას.

2. იძულებითი გამოსახლების ლეგიტიმურობის საკითხები

იძულებითი გამოსახლების ლეგიტიმურობისა და ამ პროცესში უფლებების დარღვევის საფრთხის ანალიზისას, მხედველობაში მიიღება გამოსახლების

პროცესის ყველა ეტაპი. უფლების დარღვევები შეიძლება დაუკავშირდეს: 1. გამოსახლების შესახებ გადანაცვებილების მიღების პერიოდს (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გამოსახლების შესახებ გადანაცვებილების მიღება წარმართა გამოსახლებას დაქვემდებარებულ პირებთან კონსულტაციის, ასევე, მათი ჩართულობისა და ინფორმირებულობის გარეშე); 2. გამოსახლების პროცესის დაგეგმვას (როდესაც ეს პროცესი არ ითვალისწინებს გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების განსახლებას ალტერნატიულ სათანადო საცხოვრისში, გამოსახლების შესახებ წინანარ შეტყობინებას); 3. უშუალოდ გამოსახლების განხორციელების პროცესს (მაგალითად, როდესაც გამოსახლება განხორციელდება ღამით ან/და ცუდ ამინდში, არ იქნება დაცული გამოსახლებული პირების პირადი ნივთები, გამოსახლების დროს გამოყენებული იქნება ძალა, იძულება ან/და მუქარა); 4. გამოსახლების შემდგომ ეტაპს (როდესაც გამოსახლება იწვევს უსახლკაროდ დარჩენას ან/და მთელი რიგი სერვისების მიუწვდომლობას).¹⁵

იძულებითი გამოსახლების შინაარსის ანალიზის პარალელურად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებებისა და ზომების მიმოხილვა გამოსახლების რეგულირებისა და ადამიანის უფლებების გათვალისწინების კუთხით, რომლის ძირითადი მიმართულებებია:

კანონიერი გამოსახლების პრინციპი – აღნიშნული პრინციპის მიხედვით, გამოსახლება სამართლებრივ სტანდარტებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. მისი უპირველესი დანიშნულება ისეთი გამოსახლების პრევენციაა, რომელიც ადამიანის უფლებათა სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. პრინციპი გულისხმობს, რომ გამოსახლების პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა (ან/და სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადანაცვებილების), რომელზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელდეს გამოსახლება, ფორმალურად კი არ უნდა არსებობდეს, არამედ შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ვალდებულებებს. ამასთან, განისაზღვრება სახელმწიფოს ვალდებულება, ვაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები გამოსახლების პროცედურების რეგულირების მიზნით. კერძოდ, მნიშვნელოვანია, მკაცრად განისაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც გამოსახლება დასაშვებია.¹⁶ ასევე, აუცილებელია, შემუშავდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს ნებისმიერი ტიპის გამოსახლების განხორციელებისას გამოსაყენებელ პროცედურებს.¹⁷ დამატებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უკანონო გამოსახლების სისხლის სამართლის წესით დასჯადობა (ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი).

ინფორმირებული გამოსახლების პრინციპი –

აღნიშნული პრინციპი პირდაპირ ებმის ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და ითვალისწინებს გამოსახლებას დაქვემდებარებული/პოტენციურად დაქვემდებარებული პირების ჩართულობას გამოსახლების შესახებ გადანაცვებილების მიღების პროცესში. კერძოდ, აღნიშნული პრინციპი გულისხმობს პირების უფლებას, ინფორმირებულნი იყვნენ იმ გადანაცვებილებზე, რომლებსაც პირდაპირი გავლენა ექნება მათსა და მათი შინამეურნეობის წევრებზე. აღნიშნული პრინციპი, მისი შინაარსის მიხედვით, რამდენიმე განმტკიცებად იშლება. იგი მიემართება გამოსახლების შესახებ გადანაცვებილების მიღების ეტაპს და მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

გამოსახლებას დაქვემდებარებულ/პოტენციურად დაქვემდებარებულ პირთა ჩართულობა გამოსახლების შესახებ გადანაცვებილების მიღების პროცესში (გადაწყვეტილების მიღებამდე) – აღნიშნული მიმართულება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ნებისმიერი ტიპის გამოსახლების განხორციელების წინ უზრუნველყოს ზემოაღნიშნულ პირთა ჯგუფთან ინტენსიური კონსულტაცია.¹⁸ ეს პროცესი უნდა იყოს ეფექტიანი, რეალური და არა ფორმალური. ამ ღონისძიების მეშვეობით, პირველ რიგში, გამოსახლებას პოტენციურად დაქვემდებარებულ პირებს უჩნდებათ შესაძლებლობა, ჩაერთონ გადანაცვებილების მიღების პროცესში, თვითონვე შესთავაზონ ალტერნატივები სახელმწიფოს და ჰქონდეთ გამოსახლების შესახებ გადანაცვებილების შინაარსზე ზემოქმედების პოტენციალი. ამ ტიპის ინტერვენცია აჩენს გამოსახლების პრევენციის შესაძლებლობას.¹⁹ ამგვარი ჩართულობის მაგალითია განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტებით გამომწვეული გამოსახლების მარეგულირებელი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც შესაბამისი ჯგუფების ინფორმირებაში, მათი მონაწილეობით საჭარო განხილვების განხორციელებაში, ასევე, განსახლების დეტალური გეგმის შემუშავებაში პირთა ჩაბმულობით გამოიხატება.²⁰ რელიგვანტური პირების/ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფა გადანაცვებილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია გამოსახლების შემთხვევაში ძალის გამოყენების პრევენციის, ან მისი საჭიროების შესამცირებლადაც, რაც, თავის მხრივ, გამოსახლების მიმდინარეობისას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ამცირებს.

პირთა ინფორმირება გამოსახლების შესახებ (გადაწყვეტილების მიღების შემდგომ) – აღნიშნული მიმართულება მოიცავს სახელმწიფოთა ვალდებულებას განახორციელონ გამოსახლებას დაქვემდებარებულ პირთა ინფორმირება გამოსახლების შესახებ. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ადეკვატურობისა და გონივრულობის პირობები. ამ პირობების დასაცავად აუცილებელია რამდენიმე მოთხოვნის შესრულება. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია

გამოსახლებას დაქვემდებარებული პირებისათვის გამოსახლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გონივრულ ვადით ადრე. (საერთაშორისო სტანდარტით – გამოსახლებამდე 2 თვით ადრე. გამოსახლებამდე 2 კვირით ადრე ინფორმაციის მიწოდება აღარ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას²¹). გამოსახლების შესახებ შეტყობინებამ უნდა მოიცავს ისეთი ინფორმაცია, როგორცაა გამოსახლების განხორციელების დაგეგმილი თარიღი, გამოსახლების საფუძვლები, გამოსახლების სხვა ალტერნატივის არარსებობა (და აღნიშნულის დასაბუთება), პროცედურების განხორციელების ქრონოლოგია, ნივთების გადასაადგილებლად შეთავაზებული დახმარება, ალტერნატიული განსახლებისა და კომპენსაციის საკითხები, ასევე, გასაჩივრების პროცედურები.²² მნიშვნელოვანია, რომ გამოსახლების შესახებ ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს ადეკვატური და გასაგები ფორმითა და ენით.

გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპი – საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ნებისმიერი ტიპის გამოსახლება, გამოსახლების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის მიზნით, უნდა ეფუძნებოდეს გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპებს, რომელთა უზრუნველყოფა, თავის მხრივ, კანონმდებლობით უნდა განხორციელდეს. გონივრულობის პრინციპი მიემართება გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ეტაპს და, პირველ რიგში, გულისხმობს გამოსახლების განხორციელებას მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ნაკლებად მძიმე ალტერნატივა არ არსებობს. გონივრულობის პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმსჯელოს ყველა შესაძლო ალტერნატივაზე და გამოსახლება გამოიყენოს როგორც უკიდურესი ზომა, სხვა ალტერნატივის არარსებობის პირობებში. პროპორციულობის პრინციპის შინაარსიც გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ეტაპს ეხება და გულისხმობს აღნიშნული გადაწყვეტილების ზეგავლენის – მაგალითად, პირის უსახლკაროდ დარჩენის საფრთხის – შეფასებას და მისი გათვალისწინებით, გამოსახლების ღონისძიების თანაზომიერების დადგენის შემთხვევაში, გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.²³

გამოსახლებისას ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპი – მნიშვნელოვანია, რომ გამოსახლების პროცედურები შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას, ასევე, დისკრიმინაციის აკრძალვას. ღირსების პრინციპი გამოსახლებას დაქვემდებარებული ადამიანების/ შინამეურნეობების სათანადო ალტერნატიული საცხოვრებელი უზრუნველყოფას პრიორიტეტულად მიიჩნევს და მოიცავს მათი უსახლკარობის პრევენციის ელემენტსაც. ამ პრინციპის კომპლექსურობიდან

გამომდინარე, შეიძლება რამდენიმე ძირითადი შემადგენელი კომპონენტის გამოყოფა.

ღირსების შემლახავი პროცედურების აკრძალვა – აღნიშნული კომპონენტის შინაარსი ითვალისწინებს გამოსახლების პროცედურების იმგვარ რეგულირებასა და განხორციელებას, რომელიც გამოიხატავს ადამიანის ღირსებისა და უფლებების უხეში დარღვევების შესაძლებლობას. პირველ რიგში, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პროცედურების განხორციელების მეთოდებმა არ უნდა ჩააგდონ ადამიანები მძიმე/მოწყვლად მდგომარეობაში. (გამოსახლება ცუდ ამინდში, ღამე ან/და მაშინ, როდესაც პირები შეიძლება დარჩნენ უსახლკაროდ).²⁴ ზემოაღნიშნული მიდგომები ვრცელდება არა მხოლოდ პირის მფლობელობაში/ საკუთრებაში არსებული საცხოვრისიდან გამოსახლების, არამედ საცხოვრისის სერვისიდან, მაგალითად, თავშესაფრიდან გამოსახლების შემთხვევებზეც.²⁵ აღნიშნული პრინციპის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს გამოსახლების პროცედურების მიმდინარეობისას პირის ობიექტივიზაციის თავიდან აცილება, გამოსახლებას დაქვემდებარებულ პირთა მიმართ დამსჯელობითი ღონისძიებების განხორციელების აკრძალვა,²⁶ ასევე ე.წ. „ფაქტობრივი გამოსახლება“, ანუ პირისთვის სპეციალურად და თვითნებურად ისეთი აუტანელი მდგომარეობის შექმნა, რომელიც კონკრეტულ საცხოვრისში მის ცხოვრებას გამოიხატავს (მაგალითად: საცხოვრისის შესასვლელის აჭედვა ან ელექტროენერჯის შეწყვეტა ა.შ.).²⁷

გამოსახლებისას ადამიანის უსაფრთხოების დაცვა – გამოსახლების პროცედურები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნას.²⁸ ამ მიზნით, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გამოსახლების პროცედურების ნათელი განერა შესაბამის რეგულაციებში, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალოდ გამოსახლების დაგეგმვა იმგვარად, რომ მაქსიმალურად მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენცია. პირველ ყოვლისა, გამოსახლების დროს უნდა მოხდეს ძალის გამოყენების პრევენცია ან მინიმუმამდე დაყვანა. ამასთანავე, საჭიროა ძალის გამოყენების რეგლამენტირება. კერძოდ, გამოსახლებისას ძალის გამოყენება უნდა მოხდეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებზე დაყრდნობით, კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების (მათ შორის, სამართალდამცავების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ზოგადი პრინციპების) შესაბამისად. აუცილებლობის პრინციპი გულისხმობს, რომ ძალა მხოლოდ მაშინ უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც არ არსებობს ლეგიტიმური საკითხის გადასაწყვეტის სხვა ეფექტიანი საშუალება. პროპორციულობის პრინციპი გულისხმობს, რომ ძალის გამოყენება

უნდა იყოს დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.

3. გამოსახლების პრევენციის პოლიტიკა

გამოსახლების სფეროში ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფომ განავითაროს ამ პოლიტიკის როგორც პრევენციული, ისე რეაგირებითი მექანიზმები და მიმართულებები. შინაარსობრივი თვალსაზრისით, თითოეული მათგანი საკმაოდ კომპლექსურია და სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში სხვადასხვაგვარად ვითარდება. ამის მიუხედავად, გამოსახლებისა და მისგან გამომდინარე უსახლკარობის პრევენცია საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, საცხოვრისის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, გამოსახლების რისკის შემცირების მიზნით სპეციალური პროცედურები/მექანიზმები დაამკვიდრონ.²⁹ ხშირ შემთხვევაში, უსახლკარობასთან პირდაპირი კავშირისა და გამოსახლების წინაშე მყოფი/გამოსახლებული პირების უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური მონაცვლადობიდან გამომდინარე, ქვეყნების საცხოვრისის/უსახლკარობის სტრატეგიები მზნად ისახავს გამოსახლებების პრევენციას/შემცირებას.³⁰ მეტიც, აღნიშნულ სტრატეგიებში გამოსახლების შემთხვევების შემცირების სტატისტიკური მაჩვენებელი ამ პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების ეფექტიანობის ერთ-ერთ ინდიკატორადაცაა მიჩნეული.³¹

გამოსახლებისა და მისგან გამომდინარე უსახლკარობის პრევენციის პოლიტიკის მიმოხილვისას ცენტრალურია ისეთი საკითხების ანალიზი, როგორებიცაა: აღნიშნული პოლიტიკის პრინციპები, რელევანტური ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების თავისებურებები, რელევანტური ინსტიტუციური ჩარჩო და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები.

გამოსახლებისა და უსახლკარობის პრევენციის შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე სახელმწიფომ მრავალი კუთხით (საკანონმდებლო, ინსტიტუციური, ადმინისტრაციული და ა.შ.) მოახდინოს რეაგირება. კონკრეტული სტრატეგიებისა თუ სხვა ტიპის ღონისძიებების მიმართულებით ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების ანალიზისას გამოიკვეთა გამოსახლებისა და უსახლკარობის პრევენციის სამსაფეხროვანი სისტემის არსებობა.³² თითოეული საფეხური სხვადასხვა დანიშნულების მქონე ღონისძიებებს აერთიანებს და განსხვავებული მიზნობრივი ჯგუფები ჰყავს.

პირველი დონის პრევენციული ღონისძიებები ზოგადად მოსახლეობას მიემართება და მისი ძირითადი დანიშნულებაა გამოსახლებისა და უსახლკარობის

აღრეული პრევენცია. იგი მიზნად ისახავს ისეთი სისტემების ჩამოყალიბებას, რომლებიც მოახდენს პირების გამოსახლებისა და მისგან გამომდინარე უსახლკარობის ეფექტიანად თავიდან აცილებას. უსახლკარობისა და გამოსახლების რისკების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პირველი დონის პრევენციული ღონისძიებები მრავალწინაგოვანია. ამ ზომების აღრესატებისა და დასახული მიზნის გათვალისწინებით, იგი აძლიერებს განსაკუთრებული სოციალური მონაცვლადობის/სიღარიბის წინაშე მდგარ პირებს/შინამეურნეობებს და ეფექტიანად ატარებს მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებს. ამ ამოცანების მიღწევისას პირველი დონის პრევენციის მექანიზმები ვრცელდება სოციალური დაცვის სისტემებზე, საბინაო პოლიტიკასა და ფულად-საკრედიტო სისტემაზე.³³ თავის მხრივ, ამ მექანიზმების მოქმედების საილუსტრაციოდ შეიძლება ისეთი ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა სოციალური საცხოვრისების ფონდის განვითარება და ჯანსაღი საბინაო ბაზრის მოქმედების უზრუნველყოფა.³⁴ ამასთან, ფულად-საკრედიტო სისტემაში პირველი დონის პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს ფინანსური სტაბილურობისა და ჭარბვალიანობის პრევენციას. ამ სფეროში არსებული ზომები მიმართულია იპოთეკარების დაცვისაკენ და მოიცავს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის გატარებას და საკრედიტო ხელშეკრულებებში სამართლიანი პირობების (სამართლიანი საპროცენტო განაკვეთები, საკრედიტო ინსტიტუტების მიერ მომხმარებლების ინფორმირება) უზრუნველყოფას.³⁵

მეორე დონის პრევენციული ღონისძიებები უშუალოდ ფოკუსირდება გამოსახლების/უსახლკარობის რისკის ქვეშ მყოფ პირთა ჯგუფზე და მიემართება გამოსახლების მიმდინარეობის განსხვავებულ ფაზებს (ვალაუვალობის დადგომამდე, სასამართლოში განცხადების შეტანამდე და, მის შემდეგ, სასამართლოს მიერ გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ პერიოდებს). თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იგი გულისხმობს აღრეული ინტერვენციის ღონისძიებების გატარებას და შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის რელევანტური სერვისების მიწოდების უზრუნველყოფას. მეორე დონის პრევენციული ღონისძიებები თემატურად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ტიპის სერვისები გულისხმობს ფულად მხარდაჭერას, რომელსაც ძირითადად მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ და მისი ძირითადი მიზანია, ერთჯერადი თუ მრავალჯერადი ფინანსური დახმარების შედეგად პირის/შინამეურნეობის წინაშე ვალდებულებების დაგროვების პრევენცია და გამოსახლების/უსახლკარობის თავიდან აცილება. ასეთი ტიპის ზომები შეიძლება გამოიხატოს უკიდურესად მონაცვლად მდგომარეობაში მყოფი პირის/შინამეურნეობის ფინანსურ მხარდაჭერაში საცხოვრისის ქირის/იჯარის დავალიანების გადახდის მიზნით, ასევე, ასეთი ტიპის დავალიანებაში მყოფ პირებზე გადაუდებელი მუნიციპალური სესხების გაცემაში, სესხის რესტრუქტურირებისა თუ გადახდების დროებითი

შეჩერების შესახებ რეგულაციებში და სხვა.³⁶ მეორე ტიპის სერვისები ძირითადად მუნიციპალიტეტების ან/და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გამოსახლების/უსახლკარობის რისკის წინაშე მყოფი ჯგუფების მხარდაჭერას მიემართება სამართლებრივი, მედიაციისა თუ საცხოვრისთან დაკავშირებული კონსულტაციების გზით.³⁷ ასეთი ღონისძიებები მიზნად ისახავს ამ პირების/შინამეურნეობების ინფორმირებას მათი უფლებებისა და ქვეყანაში არსებული რელევანტური დამხმარე/მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, ასევე, მოლაპარაკების გზით გამოსახლების პირას მყოფი პირების/შინამეურნეობებისა და მათ საცხოვრისზე ინტერესის მქონე მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ისეთი მექანიზმები/სერვისები, რომელიც არ ჯდება ზემოაღნიშნული პრევენციული ღონისძიებების კლასიკურ ტიპოლოგიაში. მათ შორის, საინტერესო ზომას წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების გადაუხდელობის ისეთი სქემა (ე.წ. mortgage-to-rent), რომლის მთავარი მიზანი პირის/შინამეურნეობის გამოსახლების პრევენციაა, საკუთრების უფლება მესამე მხარეზე გადადის (მაგ. მუნიციპალიტეტი), რომელიც ხელმისაწვდომ ფასად, ყოველთვიური ქირის საფასურად საშუალებას აძლევს პირს/შინამეურნეობას, დარჩეს საცხოვრისში.³⁸

მესამე დონის პრევენციული ღონისძიებები ითვალისწინებს უსახლკაროდ დარჩენილი პირების მხარდაჭერასა და მათი საცხოვრისითა და სხვადასხვა ტიპის რელევანტური სერვისებით უზრუნველყოფას. მესამე დონის პრევენციული ღონისძიებების შინაარსი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ იგი ფაქტობრივად სახელმწიფოს რეაგირებითი პოლიტიკის ნაწილია.

ამასთანავე, არის ღონისძიებები, რომლებიც არ მიემართება გამოსახლების ერთ კონკრეტულ ფაზას და დამოუკიდებლად არსებობს.³⁹ მათ შორის აღსანიშნავია გამოსახლების მორატორიუმები, რომლებიც ზოგადი თუ სპეციფიკური მექანიზმების სახით გვხვდება მთელ რიგ ქვეყნებში და ასახულია შესაბამის საკანონმდებლო ნორმებსა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებში.⁴⁰

4. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი გამოსახლების პროცესში.

გამოსახლებისა და მისგან მომდინარე უსახლკარობის პრევენციის პოლიტიკის განხორციელებისას უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ საკანონმდებლო ჩანაწერების არსებობა კონკრეტული უფლების რეალიზების მიმართულებით, ან მრავალფეროვანი პრევენციული ღონისძიებების/სერვისების განხორციელება, არამედ, ასევე, გამართული ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნაც. საცხოვრისის პოლიტიკაში, როგორც ზოგადად, ასევე გამოსახლების პრევენციის ნაწილშიც, უმნიშვნელოვანესია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების

როლი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები ძირითადად შემოიფარგლება გამოსახლების პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით პოლიტიკის ფორმულირებასა და კოორდინაციაში, რაც საცხოვრისის სტრატეგიისა თუ სხვა ტიპის პოლიტიკის დოკუმენტებშიც არის ასახული.

მეორე მხრივ, გამოსახლების/უსახლკარობის პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების როლი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი ახორციელებენ ფინანსური, სამართლებრივი, საბინაო კონსულტაციისა თუ მედიაციის ორგანოების ფუნქციებს გამოსახლების საფრთხის წინაშე მყოფ პირებთან/შინამეურნეობებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ ცალკეული მუნიციპალიტეტები თავიანთ საშტატო ნუსხაში ითვალისწინებენ თანამდებობებს, რომელთა ფუნქცია შინამეურნეობებთან, გამჭირავებლებთან და საცხოვრისის კომპანიებთან თანამშრომლობა და გამოსახლების სავარაუდო გამოწვევი პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით მუშაობაა.⁴¹ ამ მხრივ საუკეთესო გამოცდილების მაგალითია დიდი ბრიტანეთი, რომლის მუნიციპალიტეტებს კანონით ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ იმ პირების უსახლკარობის პრევენცია, რომლებიც აღნიშნული საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ უახლოესი 5 წლის განმავლობაში და დააკავშირონ ისინი მრავალფეროვან სერვისებთან (როგორცაა: საცხოვრისთან დაკავშირებული კონსულტაციისა და სამართლებრივი დახმარების სერვისი, მხარდაჭერის სერვისები სხვადასხვა ნივთიერებებზე დამოკიდებულებისას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები, სოციალური შემწეობა და ა.შ.).⁴²

გამოსახლების სფეროში პოლიტიკის ეფექტიანად განსახორციელებლად აუცილებელია პასუხისმგებელი უწყებების არა იზოლირებულად, არამედ კოორდინირებულად მუშაობა. კოორდინაციის სისტემის გამართულობის მიზნით, ცალკეულ ქვეყნებს განვითარებული აქვთ გამოსახლების იდენტიფიცირების მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს პირის/შინამეურნეობის წინაშე არსებული გამოწვევების აღრეულ იდენტიფიცირებასა და ამ მიმართულებით უწყებათაშორისი ზომების განხორციელებას. გამოსახლების პრევენციის მიმართულებით კოორდინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გააზრებულია ამ პროცესის მიმდინარეობისას პირების მხარდაჭერის მთელი რიგი ღონისძიებების ინტეგრირება. საფრანგეთში შეიქმნა გამოსახლების პრევენციის მაკოორდინირებელი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა რელევანტური ორგანოს კოორდინირებულ და სწრაფ ინტერვენციას, თუ შინამეურნეობას დავალიანება აღმოაჩნდება.⁴³

ფორმალურ საკოორდინაციო მექანიზმთან ერთად მნიშვნელოვანია გამოსახლების პროცესში რელევანტური აქტორების თანამშრომლობის

საკითხები. ამ მხრივ, საყურადღებოა გაეროს კომიტეტის რეკომენდაცია გამოსახლების სპეციალური პროტოკოლის მიღების აუცილებლობაზე, რომელიც გაითვალისწინებს, ერთი მხრივ, სასამართლო სისტემასა და ადგილობრივ სოციალურ სერვისებს და, მეორე მხრივ, უშუალოდ ამ სოციალურ სერვისებს შორის ჯეროვან კოორდინაციას, რათა გამოსახლების შედეგად უსახლკაროდ დარჩენის საფრთხის წინაშე მყოფი პირებისათვის ადეკვატური დაცვა იყოს უზრუნველყოფილი.⁴⁴ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ, გამოსახლების საკითხის განხილვისას, საკუთრების უფლების დარღვევის საკითხის მიღმა, ადამიანის უფლებების სტანდარტებზე დაფუძნებით იმსჯელოს მისი გადანაცვლების გავლენის შესახებ პირის უსახლკაროდ დარჩენის პერსპექტივაზე და გადანაცვლების მიღებამდე იზრუნოს საცხოვრისის უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ამ კუთხით, ცალკეული ქვეყნების (მაგალითად, ბელგია, გერმანია, ავსტრია) სასამართლოებს (ასევე, სხვადასხვა შემთხვევაში აღმასრულებლებს, საცხოვრისის ასოციაციებს, გამქირავებლებს) ეკისრებათ ვალდებულება, გამოსახლების თაობაზე საქმისწარმოების შესახებ ინფორმაცია მიანოლონ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს/სოციალურ სამსახურებს (ცალკეულ შემთხვევებში ინფორმაციის მიწოდება ხდება საქმისწარმოების დაწყებიდან ან/და გამოსახლების თარიღის ჩანაშენის დროს), რათა, ერთი მხრივ, მათ უზრუნველყონ აღნიშნული პირის/პირების დახმარება გამოსახლების პრევენციაში ან სწრაფ განსახლებაში (რაც, ცალკეულ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტის კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს) და, მეორე მხრივ, სოციალურმა მუშაკებმა შეათვისონ შინამეურნეობის მდგომარეობა და ჩართონ ეს პირები შესაბამის სოციალურ სერვისებში.⁴⁵

5. გამოსახლებასთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობა

სახელმწიფოთა საცხოვრისის პოლიტიკაში, ინსტიტუციურ მექანიზმებთან ერთად, მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გამოსახლებასთან დაკავშირებით სტატისტიკის წარმოება წარმოადგენს. მისი მეშვეობით შესაძლებელია, ერთი მხრივ, გამოსახლებისა და მისგან მომდინარე უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და სამომავლო პოლიტიკისათვის შესაბამისი ინდიკატორების ჩამოყალიბება და, მეორე მხრივ, გამოსახლებასთან დაკავშირებით უკვე არსებული სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი და რელევანტური მექანიზმების/ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება. გამოსახლებისა და უსახლკარობის პრევენციის მიმართულებაზე ფოკუსირებამ უფრო მრავალფეროვანი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ამ პროცესში სახელმწიფო ინსტიტუტების აქტიური ჩართულობის საჭიროება გააჩინა.⁴⁶

როგორც ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების ანალიზიდან იკვეთება, მნიშვნელოვანია მონაცემების

შეგროვება გამოსახლების პროცესის ყველა სტადიის შესაბამისად, მათ შორის სასამართლო პროცესის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას.⁴⁷ ინფორმაცია გროვდება საცხოვრისის მფლობელობის ტიპის მიხედვით, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მფლობელობის იმ ფორმების გამოკვეთა (მაგ. საკუთრებაში არსებული სახლი, სოციალური საცხოვრისი, ქირავნობა და ა.შ.), სადაც საცხოვრისი ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება ყველაზე მეტად არის აუცილებელი. ამასთან, ცალკეული ქვეყნები უფრო შორს მიდიან – მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ხდება შინამეურნეობების ფინანსური დავალიანების მიზეზების იდენტიფიცირება,⁴⁸ ხოლო, სხვა სახელმწიფოთა (მაგალითად, დანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ფინეთი) მიერ ფიქსირდება გამოსახლებული/გამოსახლების საფრთხის წინაშე მყოფი შინამეურნეობების შესახებ ინფორმაცია. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მონაცემების შეგროვება აღნიშნული შინამეურნეობების საცხოვრისზე მფლობელობის ტიპების შესახებ, ასევე, შინამეურნეობების შემადგენლობისა და მათი მახასიათებლების – წევრთა რაოდენობის, ბავშვების რაოდენობის, მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონის, გენდერული კუთვნილების, ასაკობრივი კატეგორიების, სოციალური სტატუსის (მაგ. დასაქმებულობა, შემოსავალი)⁴⁹ – შესახებ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, უკვე გამოსახლებას დაქვემდებარებულ პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება, რომელის აღნუსხავს აღსრულებული (როგორც იძულებით, ისე ნებაყოფლობით) შემთხვევების რაოდენობას, გამოსახლების მეთოდების გამოყენების მაჩვენებელს, იმ შინამეურნეობათა რაოდენობას, რომელთა საცხოვრისიდან გამოყვანაც ფიზიკურად განხორციელდა და იმ პირთა მაჩვენებელს, რომლებმაც საცხოვრისი აღსრულების პროცედურის განხორციელებამდე დატოვეს.⁵⁰

6. სახელმწიფოების რეაგირებითი მექანიზმები გამოსახლების შემთხვევაში

გამოსახლებას დაქვემდებარებულ პირებთან/ჯგუფებთან მიმართებით, გამოსახლების შესახებ მიღებული გადანაცვლების სისრულეში მოყვანისთანავე, სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს რეაგირებითი ღონისძიებები. სახელმწიფოს რეაგირებითი პოლიტიკის მთავარი მიზანია გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების/ჯგუფების უსახლკაროდ დარჩენის თავიდან არიდება, პოტენციური ზიანის შემცირება და გამოსახლებულ პირთა მაქსიმალურად მოკლე ვადაში განსახლება. მნიშვნელოვანია, რომ ამ ზომებმა მოიცვას არა მხოლოდ უშუალოდ საცხოვრებლის, არამედ აუცილებელი სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.⁵¹

6.1. რეაგირებითი მექანიზმების არსი გამოსახლების პროცესის დროს

გამოსახლების პროცესში გამოსაყენებელი

რეაგირებითი მექანიზმების შინაარსი ფაქტობრივად ემთხვევა იძულებითი გამოსახლების ლეგიტიმურობის პრინციპებსა და საკითხებს და მათთან დაკავშირებულ სახელმწიფო ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე, მოცემულ ქვეთავში მიმოვიხილავთ მექანიზმების ისეთ მახასიათებლებსა და სტანდარტებს, რომელიც ამ დოკუმენტში არ ყოფილა გაანალიზებული.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი/სერვისი, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოსახლებას დაქვემდებარებული პირებისათვის/ შინამეურნეობებისათვის, სამართლებრივი დაცვარებაა. იგი გულისხმობს სამართლიანი სასამართლოსა და პროცედურების უზრუნველყოფასა და იურისტის/ სამართლებრივი კონსულტაციის მისაწვდომობას, ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში – უფასოდ.⁵² ეს ზომა პირებს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მათი საქმის სამართლებრივი სტანდარტებით განხილვის საშუალებას აძლევს, რაც ამცირებს უკანონო ან/ და ისეთი ტიპის გამოსახლების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც უგულვებელყოფს გამოსახლებას დაქვემდებარებული პირის/ შინამეურნეობის საჭიროებებს.

გარდა აღნიშნულისა, გამოსახლების პროცესში სახელმწიფოებმა განსაკუთრებული მზრუნველობა მონაცვლადი ჯგუფების (მაგ. ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, მკვიდრი მოსახლეობა და ა.შ.) მიმართ უნდა გამოიჩინონ, რადგან, შესაძლოა, სწორედ ამ ჯგუფებზე იქონიოს გამოსახლებამ შეუქცევადი ზეგავლენა.⁵³ მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ჯგუფების დაცვას დისკრიმინაციისგან, ძალადობისგან, მეორე მხრივ კი, მათი ინტერესების გათვალისწინებას გამოსახლებისა და მისი შემდგომი პროცესების დაგეგმვისა და განხორციელების ნაწილში (მათ შორის, მათი წვდომის გარანტიას მნიშვნელოვან სერვისებზე, მაგალითად, განათლებასა და ჯანდაცვაზე).⁵⁴

გამოსახლებას დაქვემდებარებულ პირთა ინტერესების დაცვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად უნდა ჩაითვალოს საცხოვრისში არსებული საკუთრების დაცვა ჩამორთმევისგან, განადგურებისგან, თვითნებური და უკანონო მისაკუთრებისა თუ გამოყენებისგან.⁵⁵ აღნიშნული პრინციპის ილუსტრაციას წარმოადგენს გამოსახლებას დაქვემდებარებული პირის/პირების პირადი ნივთების დაზიანების აკრძალვისა და შენახვის ვალდებულება გარკვეული პერიოდის განმავლობაში საცხოვრისის გამჭირავებლის ან აღმასრულებლის მიერ (მაგალითად, შვედეთში ეს პერიოდი 3 თვეს, ხოლო ნიდერლანდებში – 6 თვეს შეადგენს).⁵⁶ მეორე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გამოსახლებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური კომპენსაციის მიღების უფლება გამოსახლების დროს მათი ნივთების დაზიანების შემთხვევაში.⁵⁷

როგორც ინსტიტუციურ, ასევე სერვისების დონეზე მნიშვნელოვანია გამოსახლების აღსრულების პროცედურებში მონაწილე მხარეების იდენტიფიცირება

და მათ მიერ განსახორციელებელი სამუშაოების აღწერა. ძალის გამოყენების რეგულირებასთან ერთად, რომელიც იძულებითი გამოსახლების ლეგიტიმაციის მიზნებში იყო გაანალიზებული, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გამოსახლების დროს მიყენებული ზიანის შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, გამოსახლების პროცედურების გამჭვირვალედ წარმართვა (მაგ. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ დამოუკიდებელი დამკვირვებლების, საერთაშორისო ორგანიზაციების თანდასწრებით)⁵⁸.

რეაგირებითი მექანიზმების საყურადღებო ნაწილია გამოსახლების აღმასრულებელი სახელმწიფო უწყებების მკაფიოდ იდენტიფიცირება.⁵⁹ მნიშვნელოვანია, რომ გამოსახლების პროცესი მუნიციპალური ორგანოების ხელმძღვანელობით წარმართოს, ხოლო ძალადგანი სტრუქტურების ჩართულობა მინიმუმამდე შემცირდეს და მხოლოდ განსაკუთრებით აუცილებელი, უალტერნატივო შემთხვევებით შემოიფარგლოს, თუ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებული ყველა ზომის (მათ შორის, ჯარიმის დაკისრების შესახებ გაფრთხილება) მიუხედავად, პირის ნებაყოფლობითი გამოსახლება შეუძლებელია.⁶⁰

6.2. რეაგირებითი მექანიზმების არსი გამოსახლების პროცესის შემდგომ

სათანადო საცხოვრებლის უფლებრივი კატეგორიიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, გამოსახლებას დაქვემდებარებული პირები არ დარჩნენ უსახლკაროდ ან/და სრულიად მხარდაჭერის გარეშე. შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, გაატარონ რეაგირებითი ღონისძიებები გამოსახლებულ/უსახლკაროდ დარჩენილ პირების მიმართ. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი გამოსახლებული პირების ადეკვატური ალტერნატიული საცხოვრებლით, განსახლებით ან პროდუქტიულ მიწაზე მათი წვდომით უზრუნველსაყოფად.⁶¹ დამატებითი ღონისძიებების გატარება საჭირო, განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიზნით განხორციელებული გამოსახლების შემთხვევაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ, ადეკვატურ ალტერნატიულ საცხოვრისთან ერთად, სამართლიანი კომპენსაცია ან რესტიტუცია უზრუნველყოს.⁶²

დასკვნა

კვლევა აჩვენებს, რომ ის საკითხები, რომლებსაც გამოსახლების პოლიტიკა მოიცავს, კომპლექსურობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შესაბამისად, გამოსახლების პოლიტიკის მხოლოდ ერთი მიმართულებით განხორციელება (მაგალითად, მხოლოდ იძულებითი გამოსახლებაზე მკაცრი სამართლებრივი რეგულაციების დანერგვა) საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ განავითაროს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს

პირთა გამოსახლებისა და მისგან გამომდინარე უსახლკარობის პრევენციას, უსახლკარობაზე ეფექტურ რეაგირებას, მრავალფეროვანი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას, რელევანტურ უწყებებს შორის ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმების შექმნას და სხვა.⁶⁵

საქართველოში საცხოვრისის პოლიტიკის არარსებობის პირობებში არაერთი მონაცვლადი ჯგუფი (მაგალითად, იზოტიკით დაზარალებულები, თვითდახმარების მიზნით სახელმწიფო და კერძო ობიექტებში მცხოვრებნი) უსახლკაროდ, ან გამოსახლებისა და უსახლკარობის საფრთხის ქვეშ ცხოვრობს. მათი უფლებრივი მდგომარეობის დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის საცხოვრისის სტრატეგიამ და სამოქმედო გეგმამ კომპლექსურად მოიცვას გამოსახლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. გასათვალისწინებელია გამოსახლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინების ვალდებულების სტრატეგიაში ასახვის მნიშვნელობა. აუცილებელია, გამოსახლების შედეგად საცხოვრისის საჭიროების მქონე პირებისათვის ადეკვატური საცხოვრისისა და რელევანტური სერვისების შეთავაზება.

საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა საუკეთესო გამოცდილების ანალიზი, რეაგირებითი ღონისძიებების პარალელურად, გამოსახლებისა და მისგან გამომდინარე უსახლკარობის პრევენციული პოლიტიკის დანერგვის აუცილებლობას აჩვენებს, რაც მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებით, უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და გამოსახლების რისკების ადრეული იდენტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებით უნდა განხორციელდეს.

რეკომენდაციები:

გამოსახლების სფეროში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია:

სახელმწიფომ საკანონმდებლო ჩარჩოში აღიაროს სათანადო საცხოვრებლის უფლება მისი ყველა ელემენტით (მათ შორის, საცხოვრისის სამართლებრივად გარანტირება);

ადეკვატურ დროში შემუშავდეს საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტები – საცხოვრისის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტები დაეფუძნოს გამოსახლებული და გამოსახლების წინაშე მყოფი ჯგუფების საჭიროებებს;

საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტებში ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად დაისახოს გამოსახლების პრევენცია, შემცირება და აღმოფხვრა;

ეროვნულ სამართალში განხორციელდეს ფართომასშტაბიანი საკანონმდებლო ცვლილებები გამოსახლების საერთაშორისო სტანდარტების შინაარსის ასახვის მიზნით;

ნათლად გაიმიჯნოს სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილებები უსახლკარობის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით და ჩამოყალიბდეს კოორდინაციის სისტემები;

ერთიანი სასამართლო რეფორმის ფარგლებში გამოსახლების საკითხებზე მსჯელობისას გათვალისწინებული იქნას საცხოვრისის უფლებადაცვითი მექანიზმების საგაუდებლოდ გათვალისწინების მარეგულირებელი ნორმები;

საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტებმა მოიცვას გამოსახლებისა და მისგან გამომდინარე უსახლკარობის პირველი, მეორე და მესამე ღონის (იგივე რეაგირებითი ზომები) პრევენციული ღონისძიებები და ამ მიზნით შექმნას შესაბამისი სერვისები;

ეროვნულმა კანონმდებლობამ და პოლიტიკამ განაპირობოს გამოსახლების მიჩნევა უკიდურეს ზომად, ხოლო მისი გარდაუვალობის შემთხვევაში, გამოსახლებული პირები სახელმწიფომ უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრისითა და მხარდაჭერის რელევანტური სერვისებით;

სახელმწიფომ აწარმოოს და გონივრული ვადით განაახლოს დეტალური სტატისტიკა გამოსახლებული და გამოსახლების წინაშე მყოფი პირების/ჯგუფების/შინამეურნეობების შესახებ და გამოიყენოს ის ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების წყაროდ.

გამოყენებული წყაროები

- 1 იხ. უფლება სათანადო საცხოვრისზე – ძირითადი გამოწვევების ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2018; უსახლკარობა – სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016.
- 2 უფლება სათანადო საცხოვრისზე – ძირითადი გამოწვევების ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2018, გვ. 97-99.
- 3 რომელიც 2017 წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა და 2018 წლის დეკემბერს შევიდა ძალაში.
- 4 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის N 537 დადგენილება „ღია მმართველობა საქართველოს 2018 – 2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, დანართი N 1.
- 5 Report of the Special Rapporteur on Adequate Housing as a Component of the Right to an Adequate Standard of Living, and on the Right to Non-discrimination in this Context, A/HRC/37/53, 2018, პარ. 9 – 15.
- 6 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 3.
- 7 აღსანიშნავია, რომ საცხოვრისით უზრუნველყოფის ვალდებულება განსაკუთრებით მყარად ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი მონყველადი ჯგუფების წარმომადგენლებს (მაგ. ბავშვები, მოხუცები, შშმ პირები და სხვა) ეხებათ, იხ. European Observatory on Homelessness, Family Homelessness in Europe, “EOH Comparative Studies on Homelessness”, vol. 7, 2017, გვ. 46; უფლება სათანადო საცხოვრისზე – ძირითადი გამოწვევების ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2018, გვ. 54-55.
- 8 იხ. European Observatory on Homelessness, Extent and Profile of Homelessness in European Member States – A Statistical Update, “EOH Comparative Studies on Homelessness”, 2014, vol.4; European Observatory on Homelessness, Homelessness Services in Europe, “EOH Comparative Studies on Homelessness”, 2018, vol. 8, გვ. 19.
- 9 ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს როგორც სათანადო საცხოვრისის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ შემუშავებული პრინციპები, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სპეციალური სახელმძღვანელოები, General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 7, 18.
- 10 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 3-4.
- 11 The Right to Adequate Housing, Fact Sheet No. 21/Rev. 1, United Nations, 2009, გვ. 5.
- 12 დამატებით, სოციალური უფლებების შესახებ ევროპული კომიტეტის (შემდგომში – „ევროპული კომიტეტი“) მიერ ხაზგასმულია სახელმწიფოს რეაგირების აუცილებლობა ე.წ. უკანონო გამოსახლების შემთხვევაში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ასეთ დროს არსებობს გამოსახლებული პირისათვის კომპენსაციის მიცემის კანონისმიერი ვალდებულება. ცალკეული ქვეყნების (მაგ. ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი) პრაქტიკა მიუთითებს უკანონო გამოსახლების სისხლის სამართლის წესით დასჯადობაზე; იხ. Council of Europe, Digest of the Case Law of the European Committee of Social Rights, 2018, გვ. 164; Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 29-30.
- 13 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 9.
- 14 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 5-6.
- 15 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 6.
- 16 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 8 – 9; Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Cultural Rights, Poland, E/C.12/1/Add.82, 2002, პარ. 48.
- 17 Committee on Economic, Social and Cultural Rights, Concluding Observations on the Sixth Periodic Report of Spain, E/C.12/ESP/CO/6, 2018, პარ. 38.
- 18 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 13.
- 19 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 30.
- 20 Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2007, A/HCR/4/18, დანართი N 1, პარ. 32 – 33, 35, 37.
- 21 იხ. FEANTSA, Housing-related Binding Obligations on States, from European and International Case Law, 2016, გვ. 8.
- 22 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ.15; Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 31.
- 23 Kay and Others v. the United Kingdom App. no. 37341/06 (ECtHR, 2010), პარ. 68; Orlic v. Croatia App. no. 48833/07 (ECtHR, 2011), პარ. 65
- 24 მაგ. საფრანგეთი და უნგრეთი; იხ. Bence R., Udvarhelyi E., The Growing Criminalization of Homelessness in Hungary – A Brief Overview, “European Journal of Homelessness”, 2013, vol. 7, no. 2, გვ. 136; Gerull S., Evictions due to Rent Arrears: A Comparative Analysis of Evictions in Fourteen Countries, “European Journal of Homelessness”, 2014, vol. 8, no. 2, გვ. 144; Committee on Economic, Social and Cultural Rights, Concluding Observations on the Sixth Periodic Report of Bulgaria, E/C.12/BGR/CO/6, 2019, პარ. 36; ამასთან, განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების საფუძველზე განხორციელებული გამოსახლების მარეგულირებელი სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, გამოსახლება ასევე არ უნდა განხორციელდეს, ფესტივალების მიმდინარეობისას, რელიგიური დღესასწაულების დროს, არჩევნებამდე, სასკოლო გამოცდების მიმდინარეობისას ან უშუალოდ მის დაწყებამდე; იხ. Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2007, A/HCR/4/18, დანართი N 1, პარ. 48 – 49.
- 25 Council of Europe, Digest of the Case Law of the European Committee of Social Rights, 2018, გვ. 229.

- 26 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 12; Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2007, A/HRC/4/18, დანართი N 1, პარ. 51.
- 27 Stenberg S., Doorn L., Gerull S., Locked out in Europe: A Comparative Analysis of Evictions Due to Rent Arrears in Germany, the Netherlands and Sweden, "European Journal of Homelessness", 2011, vol. 5, no. 2, გვ. 40.
- 28 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 34; Council of Europe, Digest of the Case Law of the European Committee of Social Rights, 2008, გვ. 172.
- 29 Council of Europe, Digest of the Case Law of the European Committee of Social Rights, 2008, გვ. 171.
- 30 მაგ. შვედეთის, ნორვეგიის, ბელგიის (ფლამანდრია) და პორტუგალიის სტრატეგიები, იხ. Benjaminsen L., Dyb E., The Effectiveness of Homeless Policies – Variations among the Scandinavian Countries, "European Journal of Homelessness", 2008, vol. 2, გვ. 52; Baptista I., The First Portuguese Homelessness Strategy: Progress and Obstacles, "European Journal of Homelessness", 2013, vol. 7, no. 2, გვ. 92; Hermans K., A Flemish Strategy to Combat Homelessness, "European Journal of Homelessness", 2017, vol. 11, no. 2, გვ. 135.
- 31 მაგალითად, ნიდერლანდების უსახლკარობის გრძელვადიანმა სტრატეგიის (2006-2013 წლებისათვის) ინდიკატორებს შორის იყო, ერთი მხრივ, გამოსახლების ყოველწლიური რიცხვი და, მეორე მხრივ, იმ გამოსახლების რაოდენობა, რომლებმაც უსახლკარობა გამოიწვია. იხ. Edgar B., Meert H. and European Observatory of Homelessness, Fifth Review of Statistics on Homelessness in Europe, 2006, გვ. 19, 45; Hermans K., The Dutch Strategy to Combat Homelessness: from Ambition to Window Dressing? "European Journal of Homelessness", 2012, vol. 6, no. 2, გვ. 104-105.
- 32 საყურადღებოა, რომ პირველი და მეორე დონის პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი ასახულია ქვეყნების რეგულაციურ სტრატეგიებში/სამოქმედო გეგმებში, მათ შორისაა, ირლანდიის საცხოვრისისა და უსახლკარობის სამოქმედო გეგმა, უსახლკარობის პრევენციისა და აღმოფხვრის კონცეფცია ჩეხეთის რესპუბლიკაში, ესპანეთის უსახლკარობის ეროვნული სტრატეგია (2015-2020 წლებისათვის), ფინეთის უსახლკარობის პრევენციის სამოქმედო გეგმა (2016-2019 წლებისათვის).
- 33 Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 110.
- 34 Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 121.
- 35 იხ. Directive 2014/17/EU of the European Parliament and of the Council of 4 February 2014 on Credit Agreements for Consumers relating to Residential Immovable Property and amending Directives 2008/48/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010; Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 121 – 122, 126-132.
- 36 იხ. European Observatory on Homelessness, Family Homelessness in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", vol. 7, 2017, გვ. 43-44; სათანადო საცხოვრებლის შესახებ გაცემულ სპეციალურმა მომხსენებელმა თავის 2005 წლის ანგარიშში ამ საკითხთან მიმართებით მიუთითა უნგრეთის მაგალითი, როგორც სანიმუშო გამოცდილება; იხ. Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2005, E/CN.4/2005/48, პარ. 34; European Observatory on Homelessness, Homelessness Services in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", 2018, vol. 8, გვ. 53; Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 149 – 151.
- 37 European Observatory on Homelessness, Homelessness Services in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", 2018, vol. 8, გვ. 53.
- 38 European Observatory on Homelessness, Family Homelessness in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", vol. 7, 2017, გვ. 44; Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 151.
- 39 Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 111.
- 40 European Observatory on Homelessness, Family Homelessness in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", vol. 7, 2017, გვ. 44; Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 171 – 177.
- 41 მაგ. შვედეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ჩეხეთი, საფრანგეთი, ირლანდია; იხ. European Observatory on Homelessness, Family Homelessness in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", vol. 7, 2017, გვ. 43 – 44; European Observatory on Homelessness, Homelessness Services in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", 2018, vol. 8, გვ. 53; უფასო სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით საინტერესოა ესპანეთის (ბარსელონა) გამოცდილება, იხ. FEANTSA Cities, Toolkit for Homelessness, 2018, გვ. 18.
- 42 FEANTSA, Fourth Overview of Housing Exclusion in Europe, 2019, გვ. 50.
- 43 European Observatory on Homelessness, Family Homelessness in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", vol. 7, 2017, გვ. 43.
- 44 Committee on Economic, Social and Cultural Rights, Concluding Observations on the Sixth Periodic Report of Spain, E/C.12/ESP/CO/6, 2018, პარ. 38.
- 45 Baptista I., Marlier E., Fighting Homelessness and Housing Exclusion in Europe, A Study of National Policies, European Social Policy Network (ESPN), 2019, გვ. 93; European Observatory on Homelessness, Homelessness Services in Europe, "EOH Comparative Studies on Homelessness", 2018, vol. 8, გვ. 79-80; Stenberg S., Doorn L., Gerull S., Locked out in Europe: A Comparative Analysis of Evictions Due to Rent Arrears in Germany, the Netherlands and Sweden, "European Journal of Homelessness", 2011, vol. 5, no. 2, გვ. 52; Gerull S., Evictions due to Rent Arrears: A Comparative Analysis of Evictions in Fourteen Countries, "European Journal of Homelessness", 2014, vol. 8, no. 2, გვ. 144 – 145.
- 46 იხ. მაგალითად, Edgar B., European Review of Statistics on Homelessness, 2009, გვ. 38 – 39.
- 47 Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 42.

- 48 Knutagard M., Homelessness and Housing Exclusion in Sweden, "European Journal of Homelessness", 2018, vol. 12, no. 2, გვ. 112; FEANTSA, Second Overview of Housing Exclusion in Europe, 2017, გვ. 95-98.
- 49 Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 71 – 75.
- 50 Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 43, 50.
- 51 Pilot Project – Promoting Protection of the Right of Housing – Homelessness Prevention in the Context of Evictions, Full Report – Final Version, European Commission, 2016, გვ. 111.
- 52 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 31.
- 53 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 10.
- 54 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 33-34.
- 55 Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2007, A/HRC/4/18, დანართი N 1, პარ. 50.
- 56 Stenberg S., Doorn L., Gerull S., Locked out in Europe: A Comparative Analysis of Evictions Due to Rent Arrears in Germany, the Netherlands and Sweden, "European Journal of Homelessness", 2011, vol. 5, no. 2, გვ. 50.
- 57 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 13.
- 58 Forced Evictions, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, 2014, გვ. 34 – 35.
- 59 Stenberg S., Doorn L., Gerull S., Locked out in Europe: A Comparative Analysis of Evictions Due to Rent Arrears in Germany, the Netherlands and Sweden, "European Journal of Homelessness", 2011, vol. 5, no. 2, გვ. 51.
- 60 Gerull S., Evictions due to Rent Arrears: A Comparative Analysis of Evictions in Fourteen Countries, "European Journal of Homelessness", 2014, vol. 8, no. 2, გვ. 144.
- 61 General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1997, პარ. 16.
- 62 Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2007, A/HRC/4/18, დანართი N 1, პარ. 31, 44, 52, 60- 68.
- 63 Gerull S., Evictions due to Rent Arrears: A Comparative Analysis of Evictions in Fourteen Countries, "European Journal of Homelessness", 2014, vol. 8, no. 2, გვ. 149 – 150.